საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სკოპინგის დასკვნა № 64

28.06.2019

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი - სენაკი - ლესელიძე საავტომობილო გზის მე-40 კმ-ზე მდ. ქსანზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის და მცხეთის მუნიციპალიტეტები

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 14.05.2019

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ინტერპროექტი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ წარმოდგენილია „საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი - სენაკი - ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მე-40 კმ-ზე მდ. ქსანზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის” პროექტის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კასპის და მცხეთის მუნიციპალიტეტების საზღვრებზე. ახალი ხიდის მშენებლობა გათვალისწინებულია თბილისი - სენაკი - ლესელიძე საავტომობილო გზის მე-40 კმ-ზე, არსებული ორი ხიდიდან, სამხრეთის მხარეს (სენაკი-თბილისი მიმართულებით) მდებარე ხიდის ნაცვლად. აღნიშნული ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 500 მეტრით.

არსებული ხიდი შედგება 8 მალისგან. მალების სიგრძეა 21 მ. ხიდის საერთო სიგრძე შეადგენს 173 მეტრს. კიდეებში არსებული რკინაბეტონის მალები შედგება 7 წინასწარ დამზადებული T-სებრი კოჭებისგან, რომელიც დამონტაჟებულია განაპირა და შუალედური ბურჯების თავზე. კოჭების ზედა თაროები დაკავშირებულია ბეტონის სავალ ნაწილთან, რომლის სისქეა 22 სმ. მდინარის გასწვრივ სახიდე გადასასვლელის შუა ბურჯების ღერძები ჭადრაკულადაა განთავსებული მდინარის კალაპოტში, რაც იწვევს კალაპოტის ჩახერგვას და მდინარის ნაკადის შეფერხებას წყალდიდობების დროს. ამასთან არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ხიდის მალის ნაშენი, ასევე სავალ ნაწილზე შეინიშნება ბეტონის დაზიანების კვალი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე შესრულებული საინჟინრო-გეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური საკვლევი სამუშაოების საფუძველზე.

საპროექტო ხიდი ექვსმალიანია, ჭრილკოჭოვანი, სქემით 6X31 მ. ხიდის გაბარიტია 1+11,5 მ. სახიდე გადასასვლელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 194 მეტრს, სიგანე 14 მეტრია. ხიდს აქვს ორი სანაპირო და ხუთი შუალედური ბურჯი. ხიდის მალის ნაშენი და ბურჯები ინდივიდუალური კონსტრუქციისაა. მალის ნაშენებად გათვალისწინებულია 31 მ სიგრძის კონსტრუქცია, რომლის მალის ნაშენი შედგება შვიდი რკინაბეტონის კოჭისგან და კოჭების გამაერთიანებელი მძლავრად არმირებული რკინაბეტონის ფილისგან, სადაც გათვალისწინებულია სავალი ნაწილის მოწყობა. ხიდის სანაპირო და შუალედური ბურჯები მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციისაა. მალის ნაშენის ბურჯებზე დაყრდნობა დაგეგმილია არმირებული რეზინის საყრდენი ნაწილების საშუალებით, ხოლო სადეფორმაციო ნაკერებად გათვალისწინებულია ინდივიდუალური კონსტრუქციის ფოლადის სადეფორმაციო ნაკერების მოწყობა. პროექტით ასევე დაგეგილია 5 მ სიგრძის გადასასვლელი ფილების მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სახიდე გადასასვლელის პროექტირებისას განიხილებოდა ხიდის კონსტრუქციული ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ხიდის ორი კონსტრუქციული ალტერნატივა: კონსტრუქცია „A“ და კონსტრუქცია „B“; გარემოსდაცვითი უპირატესობის, მდინარის რეჟიმის, ახლომდებარე სამშენებლო მასალების კარიერების, აგრეთვე ძირითადი სამუშაოების მოცულობების და ალტერნატიული ვარიანტების შედარების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ვარიანტ “A”-ს. შესაბამისად საპროექტო სახიდე გადასასვლელი იქნება ექვსმალიანი სიგრძით 194 მ და სიგანით 14 მ.

სახიდე გადასასვლელის სამშენებლო პროცესი მოიცავს: მიწის სამუშაოებს; ვაკისის მოწყობის უბნებზე ინერტული მასალის შემოტანას სატვირთო მანქანებით, ფენების პროფილირებას ვაკისის ფორმირებისთვის და დატკეპნას; გრუნტის მოჭრის უბნებზე მიწის მოხსნას საჭირო ნიშნულამდე და დატკეპნას მძიმე ტექნიკით; ზედაპირული ფენის მოწყობის შემდეგ გზის მოწყობას და მარკირების უზრუნველყოფას; ლანდშაფტის ჰარმონიზაციას.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად ხიდის მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის მოწყობა. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება ისეთი რეკომენდაციები, როგორიც არის: ბანაკის მოწყობა სამშენებლო უბნების სიახლოვეს, ადვილად მისადგომ ტერიტორიაზე; ხელსაყრელი უნდა იყოს რელიეფი და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები; მნიშვნელოვანია მცენარეული საფარის თვალსაზრისით ნაკლებად ღირებული ტერიტორიის გამოყენება; ხმაურის და ემისიების წყაროები მოსახლეობიდან შეძლებისდაგვარად მაქსიმალურ მანძილზე უნდა განთავსდეს და ა.შ. ანალოგიური რეკომენდაციებია გათვალისწინებული ფუჭი ქანების სანაყარო ტერიტორიების შერჩევისას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოსაწყობი ტერიტორ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ბანაკის მოსაწყობად, ასევე ნაწილობრივ ფუჭი ქანების დასაწყობებისთვის.

მშენებლობისთვის საჭირო ასფალტბეტონის ნარევი შემოტანილი იქნება რეგიონში არსებული სხვადასხვა საწარმოებიდან.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სამშენებლო ბაზაზე შესაძლოა მოეწყოს სამარაგო რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად შეივსება ავტოცისტერნის გამოყენებით. სამეურნეო ფეკალური წყლების შესაგროვებლად მოეწყობა საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად დაიცლება საასენიზაციო მანქანის საშუალებით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე 2019 წლის 7 ივნისს, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღაიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართა აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება.

სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

<u>**გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი**</u>

1. <u>**გზშ-ს ანგარიშ უნდა მოიცავდეს**</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. <u>**გზშ-ს ანგარიშს უნდა დაერთოს**</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. <u>**გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი**</u> უნდა იყოს სკოპინგის ანარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3.1 <u>**გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**</u>

4. <u>**გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:**</u>

- პროექტის აღწერა;
- პროექტის საჭიროების დასაბუთება;

- პროექტის ალტერნატიული ვარიანტები: შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ალტერნატიული ვარიანტები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივის **დეტალური აღწერა;**
- ფუჭი ქანების სანაყაროებისა (საჭიროების მითითებით) და სამშენებლო ბანაკის shp ფაილები;
- სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა;
- ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;
- საპროექტო სახიდე გადასასვლელის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები;
- გეომეტრიული პარამეტრების, ხიდის საფარისა და განივი კვეთების შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო მონაკვეთის ძირითადი ინფრასტრუქტურის დაშორება მოსახლეობასთან კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ინფორმაცია მდინარის კვეთის პარამეტრების, მდინარის საანგარიშო ხარჯის, საერთო წარეცხვის მაქსიმალური მაჩვენებლების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მოსაწყობი დროებითი გზის შესახებ (დროებითი გზის პროექტის აღწერა);
- მცენარეული და ნიადაგის საფარის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია (,,ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- საპროექტო გზის მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა მათ შორის დასაქმებულთა ადგილობრივების წილი;
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;
- სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება;
- სამეურნეო ფეკალური, სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია;
- ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის საჭიროების შესახებ ინფორმაცია.

4.1 <u>საპროექტო დერეფანში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს:</u>

- **გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:**
  - რელიეფი (გეომორფოლოგია);
  - გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
  - სეისმური პირობები;
  - ჰიდროგეოლოგიური პირობები;
  - საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:**
  - ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
  - საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, დამცავი ღონისძიებების მითითებით;

- ფუჭი ქანების განთავსების ადგილების (სანაყაროები საჭიროების დასაბუთებით) მითითება და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

4.3 ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- მდ. ქსნის ჰიდროლოგიას;
- მდ. ქსნის საშუალო წლიურ, მინიმალურ და მაქსიმალურ ხარჯებს;
- დეტალური ინფორმაციას მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- ეროზიული პროცესების შესახებ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს კალაპოტური პროცესების და ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ;

4.4 <u>ბიოლოგიური გარემო:</u> <u>გზშ-ის ანგარიშში აისახოს, სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე, მათ შორის წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად.</u>

5 <u>პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის:</u>

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ემისიები სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას;
- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და საშიში გეოდინამიკური პროცესები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, დამცავი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე;
- კუმულაციური ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება მდ ქსანზე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მდ. ქსნის დაბინძურების რისკი, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე, ზემოქმედების შემთხვევაში, ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით. ზემოქმედება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე. ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საკომპენსაციო ღონისძიებებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებებზე;
- გზშ ანგარიშში აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული დეტალური ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მდ. ქსნის

იქთიოფაუნაზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე;

- ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, მონიტორინგის გეგმაში აისახოს, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი;
- ნარჩენების მართვის საკითხები, მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაცია და მათზე ზემოქმედების საკითხები (არსებობის შემთხვევაში);
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი მონიტორინგის გეგმა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- საპროექტო გზის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით).

6. გზშ-ს ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- საპროექტო ხიდის ინფრასტრუქტურული ობიექტების ძირითადი ტექნიკური პარამეტრები ერთიანი ცხრილის სახით;
- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shape ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება საპროექტო ხიდის ინფრასტრუქტურული ობიექტები, არსებული და საპროექტო ხიდის, სამშენებლო ბანაკი, სამშენებლო მოედნები, სანაყაროს ტერიტორია (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

<u>**გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).**</u>

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ წარმოდგენილ „საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი -

სენაკი - ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მე-40 კმ-ზე მდ. ქსანზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე“ **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.